# ხელშეკრულება №6

## გამარტივებული წესით შესყიდვების შესახებ

ქ.ქობულეთი 10 იანვარი 2013 წელი

ერთის მხრივ შპს „ქობულეთის წყალი" (მის: ქ. ქობულეთი კაიკაციშვილის ქ №52) მისი დირექტორის იოსებ ბუნთაიშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ ი.მ. რომან ჯინჭარაძე ს/კ61004047715 (შემდგომში „მიმწოდებელი"), დადეს ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა შემსყიდველს მიაწოდოს სახელმწიფო შესყიდვების CPV34300000 (ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის), CPV50100000 (სატრასპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება ტექნიკური მომსახურება) კოდით გათვალისწინებული საქონელი, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.
1.2.სახელშეკრულებო თანხა განისაზღვრება მოთხოვნილი მომსახურების ან/და საქონლის შესაბამისად.

### 2. მიწოდებული საქონლის მიღება—ჩაბარება

2.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გახარჯული მასალების და დეფექტური აქტის წარდგენის შემდეგ.
2.2 მიღება-ჩაბარების აქტის გახარჯული მასალების და დეფექტური აქტის წარდგენის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისგან მიღებული საქონლისათვის.

### 3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება შემსყიდველის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გახარჯული მასალების და დეფექტური აქტის წარდგენის შემდეგ 3 სამუშაო დღის განმავლობაში.
3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
3.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

### 4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

4.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.
4.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
4.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### 5. უფლებების გადაცემა

5.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

### 6. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

6.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

6.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

## 7. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

7.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება შემსრულებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან დამკვეთის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

7.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

7.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) შემსრულებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ შემსრულებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

7.4 ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული საქონლის ღირებულება.

## 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

## 9. დასკვნითი დებულება

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

9.2. ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, ორივე ეგზემპლარი იდენტურია და აქვს ერთნაირი იურიდიული ძალა. ყოველ მხარეს აქვს ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი.

## მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| შპს „ქობულეთისწყალი" | ი.მ. „რომან ჯინჭარაძე" |
| იოსებ ბუნთაიშვილი | ქ. ქობულეთი რუსთაველის ქ №138 |
| ს/კ: 247009856 | ს/კ: 61004047715 |
| სს „ლიბერთი ბანკი" | სს „ლიბერთი ბანკი" |
| ანგ. № GE83LB0113123942011000 | ანგ. № GE05LB0112155918200000 |
| ბ/კ LBRTGE22 | ბ/კ 220101468 |
| სს „პროკრედიტ ბანკი" | |
| ანგ. № 340801010700001 | |
| ბ/კ 220101901 | |
| დირექტორი: | |